პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 216 (5246)

1974 წ. 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





## დასკვნები ჯერ ნაადრევია

თბილისი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 29 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი) 98:89 (48:40).

„დინამო": მ. ქორქია (გუნდს შესძინა 26 ქულა), პულავსკი (19), ჩიხლაძე (15), საკანდელიძე (14), ბოლქვაძე (9), ბიჭიაშვილი (6), ძიძიგური (5), ქარაბაკი (2), ნ. ქორქია (2).

რტი: გუზიკი (22), შუკშინი (19), პოპკოვი (16), შერევერა (16), ბელიკოვი (8), კრასნიცკი (4), რადიუკი (2), კოვალიოვი (2).

მსაჯები: დ. დავთიანი (ერევანი), ე. ზიედინში (რიგა).

დუბლიორები — 84:81 (39:38).

მატჩი ორივე გუნდმა უფერულად ჩაატარა. შესაძლოა ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ სეზონის სტარტისთვის დამახასიათებელ მღელვარებაში, ან დარბაზის ნაწილობრივ უვარგისობაში სპორტის სასახლესთან შედარებით. ასეა თუ ისე, შეცდომებს საკმაოდ ბლომად უშვებდა ორივე მხარე, განსაკუთრებით — დაცვაში.

პირველი ტაიმის ერთ ნახევარში უმნიშვნელო უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. მიზეზი? უკეთესი თამაში ფარქვეშ და საკმარისად ზუსტი სროლა საშუალო მინძილებიდან. თბილისელთაგან ფარის ქვეშ მთელი დატვირთვით და ეფექტურად მხოლოდ მ. ქორქია იბრძოდა. იგი თავდასხმაშიც საუკეთესო იყო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა „დინამო" პირველ შეტევას იწყებდა.

სხვათა შორის, ამ მატჩში „დინამო" სამჯერ თუ ოთხჯერ „აფეთქდა" მთელი ძალით. აი სწორედ ამ „აფეთქებების" წყალობით დააგროვა მან ქულების მარაგი, რომელმაც საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა. აქედან დასკვნა: ერთადერთი სწორი ტაქტიკა — ეს არის შეტევა, სწრაფი, ტემპიანი, ელვისებური. ამისთვის თბილისელებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ იმავე ქორქიას, საკანდელიძის, ჩიხლაძისა და სხვათა სახით. მშვიდი, პასიური თამაში, სადაც უფრო მეტად ბურთი მოძრაობს, ვიდრე კალათბურთელები, ჩვენს გუნდს არასდროს გამოსდიოდა. ეს ტაქტიკა უფრო სხვებისთვისაა მისაღები — ვინც შეტევას ერიდება, ვისაც ტემპი ორიენტაციას და სწრაფი მოსაზრების უნარს უკარგავს.

ერთხელ დინამოელთა ტრადიციულ აფეთქებას რვაქულიანი სხვაობა მოჰყვა. მეორედ, ეს იყო უკვე შესვენების შემდეგ, მასპინძლები 13 ქულით დაწინაურდნენ. ამ უპირატესობის გაქარწყლებას მინსკის გუნდმა მთელი დარჩენილი დრო მოანდომა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მატჩის დასკვნითი ნაწილი განსაკუთრებით კარგად ჩაატარა პულავსკიმ. სწორედ მასთან ბრძოლას შეეწირა პოპკოვი, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კალათბურთელი სტუმრებში.

სეზონის პირველი მატჩით მიღებული შთაბეჭდილება არ შეიძლება სრულყოფილი იყოს. ამიტომაც გუნდების მზადყოფნაზე მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრევია. წინ არის მარათონული ტურნირის ხუთთვიანი მონაკვეთი, დაძაბული ბრძოლები და მოლოდინი.

ურთიერთდახმარება კოლექტიური თამაშის კლასიკური ფორმა რომ არის, ნათლად ჩანს ამ სურათზეც. მ. ქორქია (№ 13) გზას ულობავს მეტოქეს და თავის პარტნიორს, თ. ჩიხლაძეს (№ 9) შეტევის გაგრძელების საშუალებას აძლევს.

ნ. გუგუშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ორმოცდამეორე სტარტი

გუშინწინ მოსკოვში, ვილნიუსსა და თბილისში სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების 42-ე საკავშირო ჩემპიონატმა. ტურნირში, ისევე როგორც წინათ, 10 კოლექტივი მონაწილეობს: ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი", კიევის „სტროიტელი", მოსკოვის „დინამო", ტალინის „კალევი", თბილისის „დინამო", მინსკის რტი, კაუნასის „ჟალგირისი", ვილნიუსის „სტატიბა" და სვერდლოვსკის „ურალმაში". ვილნიუსისა და სვერდლოვსკის კალათბურთელებმა შარშანდელი ჩემპიონატის აუტსაიდერები შეცვალეს.

წლევანდელი ტურნირი შეცვლილი ფორმულით ტარდება: მეტოქეები ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ორჯერ — შინ, ორჯერ — სტუმრად. ახალმა სისტემამ საგრძნობლად გაზარდა კალენდარულ შეხვედრათა რაოდენობა: თუ 41-ე ჩემპიონატში ყოველ მონაწილეს 27 მატჩი უნდა ჩაეტარებინა, ახლა ეს რიცხვი 36-მდე გაიზარდა. ახალი ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობა ცნობილი გახდება გაისად ლენინგრადში 1-2 აპრილს, ადგილობრივი „სპარტაკისა" და ცსკა-ს ორთაბრძოლის შემდეგ.

თითქმის ყველა გუნდის შემადგენლობა გადახალისდა ახალგაზრდა კალათბურთელებით, ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის რიცხვი კი მინიმუმამდე შემცირდა. და მაინც, ყველაზე დიდი დანაკლისი კიევის „სტროიტელმა" განიცადა: საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გამო ამიერიდან ცსკა-ში ითამაშებს სსრ კავშირის ნაკრების საუკეთესო სნაიპერი ა. სალნიკოვი.

ტალინის „კალევმა" საჭირო შევსება მიიღო I ლიგიდან: ტაშკენტიდან ამ გუნდში გადავიდა რ. აბელიანოვი (სიმაღლე — 205 სმ), ფრუნზედან კი — ა. მოროზოვი (201 სმ).

როგორც ცნობილია, კაუნასის „ჟალგირისისა" და სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანმა მ. პაულაუსკასმა საჯაროდ განაცხადა, თავს ვანებებ კალათბურთსო. მაგრამ თავისი კოლექტივის განაცხადში მისი გვარი მაინც შეტანილია. როგორც, ჩანს, გუნდის ხელმძღვანელობა მას საგანგებო შემთხვევისთვის ინახავს. ასე იყო შარშანაც: პაულაუსკასი კრიტიკულ მომენტში გუნდს დაუბრუნდა და ბევრი სარგებლობაც მოუტანა მას.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა 42-ე ჩემპიონატის პირველ მატჩებზე. კალენდრით გათვალისწინებული შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკსა" და კიევის „სტროიტელს" შორის ერთი დღით გადაიტანეს.

მოსკოვში ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო ამ ჩემპიონატის დებიუტანტი — სვერდლოვსკის „ურალმაში". დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო — 95:58.

მეორე დებიუტანტმა — ვილნიუსის „სტატიბამ", რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს მასპინძლობდა, საკმაოდ ბასრი კლანჭები გამოაჩინა. მან პირველი ტაიმი მოუგო კიდეც ფავორიტს (39:35), მაგრამ შესვენების შემდეგ არმიელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერეს — 92:78.

ნ. ახვლედიანი.

## მედლები ბრო[illegible]

ფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს უამრავი ჯილდო ელით. სსრ კავშირის ჩემპიონებს რვა დიდი ოქროს მედალი გადაეცემათ.

70 მმ დიამეტრის, 5 მმ სისქის, წონით 100-გრამიანი, სპეციალური შენადნობისგან დამზადებული მედლები შესახედავად ოლიმპიურ ჯილდოებს არ ჩამოუვარდება. ეს მედლები მოსკოვის სახელმწიფო ზარაფხანაში გააკეთეს მხატვართა კავშირის წევრის ნ. ლოვეცკის ესკიზის მიხედვით.




გამარჯვებულ გუნდს ელის ბროლის ვაზა იმ ექვსი ორდენის გამოსახულებით, რომლებითაც კომკავშირია დაჯილდოებული. ვარსკვლავებით დამშვენებული ბროლის პრიზები გადაეცემათ II და III ადგილებზე გასულებს.



ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდოა ლენინური კომკავშირის პირველი ლაურეატის ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელობის პრიზი. იგი დააწესა სოჭის ალკკ საქალაქო კომიტეტმა მწერლის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. ამ ჯილდოს მიიღებს მშდ კომპლექსის ყველაზე მამაცი მრავალჭიდელი.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა, კრასნოდარის სამხარეო და სოჭის საქალაქო კომკავშირულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ბევრი სხვადასხვა პრიზი დააწესეს იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც ფინალში საუკეთესონი აღმოჩნდებიან.




## სარბიელზე არიან მშდ კომპლექსის ოსტატები

სოჭი, 29 ოქტომბერი. აქ ტარდება სეზონის ყველაზე მასობრივი შეჯიბრება — ქვეყნის ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ლიდერობს ჩკალოვსკელი (ტაჯიკეთის სსრ) მასწავლებელი ვ. სერგეევი.

— სერგეევს შეუძლია პირველ ადგილზე გავიდეს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ბოლოტნიკოვმა. — მაგრამ მისთვისაც და სოჭის ფინალური შეჯიბრების დანარჩენი მონაწილეებისთვისაც შედეგებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ეს ასპარეზობა ახალგაზრდებს დიდი სპორტისკენ უხსნის გზას. ვინ მოთვლის, რამდენმა ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა წარმატებათა გზა სწორედ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებით დაიწყო. ამიტომ შეჯიბრების დევიზი ასეთია: „მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნიდან — ოლიმპიურ მედლამდე". ყოველმხრივი ფიზიკური წრთობა ახალგაზრდობას ძალიან გამოადგება ცხოვრებაში.

ასპარეზობის საზეიმო გახსნა, რომელიც ნამდვილ ზეიმად იქცა, კომკავშირის დაბადების დღეს დაემთხვა. ეს სიმბოლურია, ვინაიდან მშდ კომპლექსი სწორედ კომკავშირელთა თაოსნობაა.

ასპარეზობა 31 ოქტომბერს მთავრდება. სოჭში ჩამოვიდა საბჭოთა ქვეყნის ბევრი სხვადასხვა ქალაქის 400-მდე წარმომადგენელი. აქ მათთან ერთად არიან სახელგანთქმული სპორტსმენები — სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. ბრაგინა, ა. ივანიცკი, ა. მედვედი და სხვ. საპატიო სტუმრებს შორის არის მშდ კომპლექსის ვეტერანი, საკავშირო პროფკავშირების ჩემპიონი 1938-1939 წლებში ტატიანა პეტრენკო. შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულია მშდ კომპლექსის ერთ-ერთი პირველი ნიშნოსანი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ლიაპიდევსკი.

ოცდაათიან წლებში საძირკველი ჩაეყარა მშდ კომპლექსის შესანიშნავ ტრადიციას — სტარტზე პირველნი გამოდიოდნენ ცნობილი ადამიანები, შრომის გმირები, სახელგანთქმული მეომრები, გამოჩენილი სპორტსმენები. მათ შორის იყვნენ ალექსეი სტახანოვი და პაშა ანგელინა. მათი მაგალითი მილიონებს აღაფრთოვანებდა.

უკან დარჩა ასპარეზობის სამი ეტაპი. პირველმა ეტაპმა დაასახელა კლასების, ბრიგადების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩემპიონები, მეორემ — რაიონებისა და ქალაქების უძლიერესი მრავალჭიდელები. მესამე ეტაპზე გამოვლინდნენ ცალკეულ ოლქებსა და რესპუბლიკებში გამარჯვებულნი. ახლა კი ფინალური ასპარეზობა ტარდება. საუკეთესო ფიზკულტურელები — მშდ კომპლექსის ნიშნოსნები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისთვის იბრძვიან.

ა. ლევინსონი.
(საკდესის სპეც. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI სპარტაკიადა თბილისი

## „სწრაფში" სტარტები

თბილისის ახალ ტრეკზე სამ დღეს გაგრძელდა ველოსიპედისტთა შეჯიბრება.

აუცილებელია აღინიშნოს ის, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყველა სპორტული საზოგადოების უძლიერესი ველოსიპედისტები. სპორტსმენებმა მაღალი შედეგები მოიპოვეს. მაგალითად, 4 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში დინამოელმა ვ. ვოლკოვმა დისტანცია 5 წუთსა და 5 წამში დაფარა. მეორე იყო მისი მეგობარი ნ. პანკრატოვი. III ადგილი ასევე დინამოელ ვ. ფეტისოვს ხვდა.

„დინამოს" ველოსიპედისტებმა თავი გამოიჩინეს 4 კმ-ზე გუნდურ რბოლაშიც — 4.39,0. ეს საქართველოს რეკორდია. საერთოდ, ამ შეჯიბრებაში „დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო.

ამ საზოგადოების წევრმა ი. ვოლკოვმა I ადგილი მოიპოვა სპრინტერულ რბოლაში. II და III ადგილები დაიკავეს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა ი. ყვარელაშვილმა და ნ. ივანოვმა. მხოლოდ 1 კმ-ზე ადგილიდან შეჯიბრებაში გაიმარჯვა ყვარელაშვილმა. მეორე იყო განთიადელი ვ. ვოლკოვი. „დინამოს" წარმომადგენელ ი. ვოლკოვს III ადგილი ხვდა.

75 კმ-ზე ჯგუფურ რბოლაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს „დინამოს" ველოსიპედისტებმა ვ. ფეტისოვმა, ვ. ივანოვმა და ნ. პანკრატოვმა. გუნდურ შეჯიბრებაში 54 ქულით პირველობა დინამოელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გასულ „შრომითი რეზერვების" გუნდს 32,5 ქულა აქვს „განთიადმა" 18,50 ქულით III ადგილი დაიკავა.

შეჯიბრება ორგანიზაციული და ტექნიკური თვალსაზრისით მაღალ დონეზე ჩატარდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ტრეკი ასპარეზობისთვის კარგად არ იყო გაფორმებული.

**ც. ფცქიალაძე.**

● ●

## მხოლოდ ერთ სახეობაში

გაიმართა ველოსიპედისტთა შეჯიბრება გზატკეცილზე. სამწუხაროდ, თბილისის სპარტაკიადის ჩემპიონი გამოვლინდა პროგრამის მხოლოდ ერთ სახეობაში — ჯგუფურ რბოლაში. 120-კილომეტრიანი ტრასის ფინიში ყველაზე ადრე სპარტაკელმა ვ. ალიბეგაშვილმა გადაკვეთა. II ადგილი ხვდა მის თანაგუნდელ ი. რთველიაშვილს, ხოლო III — ბურევესტნიკელ ვ. წაქაძეს.

გუნდურ რბოლაში ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი, ამიტომ მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა ყველა მონაწილე შეუფასებელი დაეტოვებინა. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ თბილისში, ფაქტიურად, თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოწინავე ველოსიპედისტი.

გუნდური გამარჯვება, ცხადია, „სპარტაკის" მრბოლელებმა მოიპოვეს, ვინაიდან ერთადერთ ჩასათვლელ სახეობაში ამ სპორტსაზოგადოებას ყველაზე მეტი პრიზიორი ჰყავდა. II ადგილზე გავიდნენ არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლები, ხოლო III — განთიადელი ველოსიპედისტები.

ტურნირს სხვა ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებებიც ჰქონდა. მაგალითად, სტარტზე მისვლა საათ-ნახევრით დააგვიანა სასწრაფო დახმარების მანქანამ.

**ნ. კოტრიკაძე.**

> ### დღეს
>
> **თბილისში, ალპიურ კლუბში გაიმართება საქართველოს სათხილამურო ფედერაციის სხდომა, რომელიც მოისმენს გასული ზამთრის სეზონის შედეგებს და მომავალი სეზონისთვის მზადების საკითხებს.**
>
> დასაწყისი 15 ს.

# უკვდავება

### მამის გაკვალულ ბილიკზე

მთები უხმობდათ და მიჰყვებოდნენ კიდეც ამ ძახილს. სამნი იყვნენ, მეგობრები, ერთ თოკში ჩაბმულნი. სამივემ თანაბრად გაიყო გამარჯვების პიკის დაპყრობის სიხარული, მაგრამ იქიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა: ორმა — ჯუმბერ მეძმარიაშვილმა და თეიმურაზ კუხიანიძემ სიცოცხლე შესწირეს ზვიადი მთების სიყვარულს.

— 5000 მეტრ სიმაღლეზე ქართველი გოლიათი ავთანდილ ახვლედიანი შემომხვდა, — იგონებს მეძმარიაშვილისა და კუხიანიძის დაღუპვის ერთადერთი მოწმე კირილე კუზმინი კრებულში „დამარცხებული მწვერვალები". — ჩვენი ტრაგედიის ამბავი რომ შეიტყო, სახეზე ხელები აიფარა და თოვლში ჩაჯდა. მხრები უცახცახებდა ქვითინისგან.

ასე დაიტირეს მეგობრებმა ორი ვაჟკაცი და კიდევ ერთი მთის რაინდი — ილია გაბლიანი, რომელიც წინადღით გამოაკლდათ.

ეს მოხდა 1961 წლის 28–29 აგვისტოს.

...იგი არაფრით გამოირჩევა სხვებისგან, საშუალოზე ოდნავ მაღალი, 18 წლის ჭაბუკია. მასაც ზვიადი მწვერვალები უყვარს. მთებთან პირველ პაემანზე კი ორწვერისკენ გაეშურა. მწვერვალმა ჭაბუკს მკაცრი გამოცდა მოუწყო, რადგან ზვიად მთებს მხოლოდ მამაცი, ჭეშმარიტი რაინდები უყვართ. ლაშქრობისას სქელი ნისლი ჩამოწვა. ხუთიოდე ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ყინავდა. ბედის მაძიებელს ქარბუქი ხორხოშელა თოვლს აყრიდა სახეში. ჭაბუკმა ძნელ გამოცდას გაუძლო. მისი პაემანი ორწვერთან შედგა. იგი მოხიბლა ორწვერმა და მეორე დღეს მყინვარწვერს შეუტია. „ხევის პატარძალმა" უფრო მეტად მოაჯადოვა ჭაბუკი. აქედან იგი მთელს კავკასიონს ხედავდა, აქედან იგი ხედავდა მამის — ჯუმბერ მეძმარიაშვილის გაკვალულ ბილიკებს, რომლებიც ჭაღარა მწვერვალებისკენ მიიწევდნენ.

ჯუმბერ მეძმარიაშვილის გაკვალული ბილიკები ღრმად აჩნია პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებსაც. მას ბევრჯერ ჩამოუტანია იმ თოვლ-ყინულეთიდან კეთილშობილი ლითონების ჯილდოები. ჯუმბერი ხომ ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და საკავშირო პირველობათა მრავალგზის პრიზიორი იყო!

დათო მეძმარიაშვილი სათუთად უფრთხილდება მამის მედლების კოლექციას.

— დედა ალბათ წინააღმდეგი იყო, როცა შენი განზრახვა შეიტყო, — ვუთხარი დათოს მყინვარწვერიდან ჩამოსვლის შემდეგ.

— არა, უსიტყვოდ დამთანხმდა. ალბათ გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან მაინც მთებისკენ გამიწევდა გული. ახლა იგი მშვიდად მელის შინ, იცის, რომ აქ, ყაზბეგის იუბილესადმი მიძღვნილ ალპინიადაზე არაფერი გამიჭირდება. აქ ხომ მამაჩემის მეგობრებმა დიმიტრი დანგაძემ და შოთა მირიანაშვილმა წამომიყვანეს. ამისთვის დიდად მადლობელი ვარ. მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ ამ ზაფხულს მათ სვანეთში შხარის მასივის სამი უსახელო მწვერვალი დალაშქრეს და თითოეულს ცალ-ცალკე მამაჩემის, ილიკო გაბლიანისა და თეიმურაზ კუხიანიძის სახელები უწოდეს.

...შხარა. იგი მუდამ სქელი ნისლის საბურველშია გახვეული. გოროზი და გულამღვრეული, იშვიათად იხსნის ნისლის პირბადეს და მაშინ მთელი სიდიადით, ამაყად გადმოჰყურებს სვანეთის სოფლებს. მიუკარებელი შხარა პირველად სანდრო გვალიას ჯგუფმა დაიპყრო 1933 წელს. მათ მთავარი შხარა (5184 მ) დალაშქრეს. მას შემდეგ ქართველმა მთამსვლელებმა ლამის მთელი შხარა დასერეს და მისი მწვერვალები სხვადასხვა სახელით მონათლეს. რჩებოდა ენგურისა და შხარის ყინვარებთან აღმართული მხოლოდ სამი უსახელო მწვერვალი, სწორედ ეს მწვერვალები დაიპყრეს მირიანაშვილმა და მისი ჯგუფის წევრებმა.




### თოვლ-ყინულეთში დაწერილი დღიური

მთამსვლელებს ჩვეულებად აქვთ ლაშქრობის დროს დღიურების წერა. მოდით, ჩვენც მირიანაშვილის ჯგუფის წევრთა ძუნწ ჩანაწერებს მივყვეთ.

29 ივლისი. მეთვალყურე ჯგუფთან ერთად ვემშვიდობებით ბანაკ „აილამას" და სოფელ უშგულში ჩავდივართ, იქიდან კი შხარისკენ მიმავალ ბილიკს მივყვებით.

ყველანი კარგ სპორტულ ფორმაში ვართ, რადგან წინასწარ რამდენიმე სავარჯიშო ასვლა მოვაწყვეთ სხვადასხვა სირთულის მწვერვალებზე.

საღამოს შხარის ყინვარის მარცხენა მორენაზე საბაზო ბანაკს ვაწყობთ.

30 ივლისი. დამხმარე ჯგუფთან ერთად შევუყევით ენგურის ყინვარს, სამი საათის შემდეგ ყინვარის ფირნის თოვლიან ცირკში ვართ. სწორედ აქ ვშლით კარვებს და ვემშვიდობებით დამხმარე ჯგუფს, რომელმაც პროდუქტები ამოგვიტანა და ახლა უკან ბრუნდება.

წინ დამრეცი თოვლიანი ფერდობია, რომელიც უშუალოდ მწვერვალისკენ ამავალ კედელს ებჯინება. ჩვენ სწორედ ამ „გზის" გავლა მოგვიწევს. ამიტომ შებინდებამდე კიდევ ერთხელ ვსწავლობთ და ვაზუსტებთ მარშრუტს. გადაწყდა: მწვერვალს გაუვლელი, სამხრეთი კედლის ცენტრით შევუტევთ.

31 ივლისი. 5 საათზე იერიშს ვიწყებთ. წყვდიადში საკმაოდ სწრაფად ვძლევთ დამრეც თოვლიან ფერდობს და ჩვენს წინ აღმართულ კლდოვან ბასტიონს ვუტევთ. დასაწყისი იოლია — კლდეზე თითქოს საფეხურებია გამჭრილი, მაგრამ სიმაღლესთან ერთად სირთულე მატულობს. უფრო და უფრო ხშირად გაისმის ჩაქუჩის კაკუნი — პალოებს ვასობთ.

12 საათზე ყველანი ერთ პატარა ბაქანზე ვიყრით თავს. აქ კიდევ ერთხელ ვაფასებთ ჩვენს ძალებს და ვფიქრობთ, რომ რვა კაცით დაახლოებით 200-მეტრიანი უარყოფითი დახრილობის კლდის დაძლევა დიდ დროს წაგვართმევს. ამიტომ ცენტრის მარცხენა ვერტიკალურ უბანზე ვიწყებთ იერიშს.

აქედან იწყება დიმიტრი დანგაძისა და ალიოშა გაზდელიანის, შოთა მირიანაშვილისა და სერგო ბარლიანის, ვიქტორ რიბინსკისა და დავით თარხნიშვილის, შაქრო გაბისიანისა და ზაალ ქიქოძის წყვილები. მეწყვილეებს კარგად ესმით ერთმანეთისა და ამიტომ სწრაფად ვძლევთ ვერტიკალურ კედელს.

18 საათზე სამხრეთ-დასავლეთ წიბოზე ვართ. ამ მონაკვეთიდან მწვერვალამდე გზა უკვე გაკვალულია შალიკო მარჯიანის ჯგუფის მიერ, რაც 5ბ კატეგორიის სირთულითაა შეფასებული.

შებინდდა, მაგრამ ღამის გასათევ ადგილს ვერ ვპოულობთ. ამიტომ შტურმი გრძელდება. ღამის 12 საათზე ერთ პატარა ბაქანს მივადექით. დიდი გაივაგლახით ერთი კარავი გავშალეთ, დანარჩენები ქვებზე დავსხედით.., ასე გავათენეთ ღამე.

1 აგვისტო. მტრედისფრად ინათა. დავინახეთ, რომ მწვერვალი ჩვენგან რაღაც ასიოდე მეტრით იყო დაშორებული, მაგრამ მისი დაპყრობა პირველ საათამდე ვერ შევძელით. 4500 მეტრის სიმაღლის მწვერვალს ჯუმბერ მეძმარიაშვილის სახელი ვუწოდეთ. იქიდან თოვლ-ყინულიან თხემზე გავდივართ, რომელზეც კიდევ ორი მწვერვალია აღმართული. თხემი საკმაოდ რთულია. ერთმანეთს ენაცვლება 20 მეტრამდე სიმაღლის კლდოვანი და თოვლ-ყინულოვანი ჟანდარმები. ყინულზე დიდებულად გრძნობს თავს გაბისიანი, კლდეზე კი — ჩვენი ჯგუფის ახალი წევრი გაზდელიანი. წყვილები ერთმანეთს ენაცვლებიან. ამის წყალობით მაღალ ტემპს ბოლომდე ვინარჩუნებთ. და 5 საათზე მეორე, 4585-მეტრიან მწვერვალს ვიპყრობთ. მას ილიკო გაბლიანის სახელს ვარქმევთ. აქედან თხემზე ვეშვებით. საღამოვდება და ამიტომ კარვებს ვშლით.

2 აგვისტო. უთენია კვლავ საიერიშო სამზადისი გვაქვს. ამინდს კარგი პირი უჩანს. საერთოდ, ეს ბედნიერი შემთხვევაა, რადგან შხარის რაიონში ყველაზე მკაცრი კლიმატური პირობებია. სწორედ აქაა სხვადასხვა მხრიდან დაძრული ღრუბლების თავშესაფარი. მათი შეჯახების დროს გამაყრუებელი ქექა-ქუხილი იცის, ხოლო მთის ქანებში არსებული რკინი[s] დიდი რაოდენობა ელექტრობას წარ[მოქ]მნის.

არა, ბედი აშკარად გვწყალობს.

იერიში იწყება. აქ ქედი დაბლდება. გზად ლავგარდანები და კლდოვანი ბასტიონები გვხვდება, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება. ერთ უბანზე 80-მეტრიან შვეულ კლდეზეც გვიხდება დიულფერით დაშვება. ქვემოთ ალესილი ყინულის 150-მეტრიანი თხემია. შემდეგ უარყოფითი დახრილობის კლდის დაძლევა გვიხდება. მისი გადალახვა რთულდება, რადგან კედელი გაყინულია, ამასთან, ძალიან ცოტაა ისეთი ნაპრალი, პალოს ჩასობა რომ შეიძლებოდეს. ოთხ საათში კედელს ვძლევთ და 3 საათზე 4550 მეტრის სიმაღლის მწვერვალიდან გამარჯვების მაუწყებელ სამ ცისფერ მაშხალას ვისვრით. ამ მწვერვალს თეიმურაზ კუხიანიძის სახელს ვარქმევთ.

აგვისრულდა დიდი ხნის ოცნება. ამიერიდან კავკასიონს ჩვენი სამი შესანიშნავი მეგობრის, სამი ბრწყინვალე მთამსვლელის სახელობის მწვერვალებიც დაამშვენებს.

ღამის სათევად თოვლიან თხემზე ვეშვებით და კარვებს ვშლით. ეს ადგილი დიდებულად მიგვაჩნია. მაგრამ შხარა, რომელიც აქამდე გვწყალობდა, მოულოდნელად მოიქუფრა და ძლიერი ქარიც ამოიჭრა. თანდათან ქარი ნამდვილ ქარიშხალში გადაიზარდა. კარავს ძლივს ვამაგრებთ.

3 აგვისტო. როგორც იქნა, ინათა. შხარაც დაწყნარდა და იერიშს ვაგრძელებთ. რადგან საგაისოდ ტიან-შანის ექსპედიციისთვის ვემზადებით, ამჯერად ჩვენი მიზანი მთავარი შხარის დაპყრობაა. ამ რაიონის ბუნებრივი პირობები ტიან-შანისას ემთხვევა და ამ შესაძლებლობას ხელიდან არ ვუშვებთ. მთელი დღე ქედის დარჩენილი ნაწილის გავლას და 700-მეტრიანი დიდი დაქანების კლდის დაძლევას მოვანდომეთ. მწვერვალი გვიან ღამით დავიპყარით. და ღამეც იქ გავათიეთ...

* * *

...მთები უხმობდათ და აკი მიჰყვებოდნენ კიდეც ამ ძახილს. ისინი სამნი იყვნენ, მეგობრები...

ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე ერთმანეთის გვერდით მიაბარეს დიდუბის პანთეონის მიწას. ილიკო გაბლიანის ცხედარი კი გამარჯვების პიკმა ჩაიკრა ყინულის გულში, 7000 მეტრის სიმაღლეზე.

**ა. ბურასაშვილი.**

* * *



სურათებზე: თეიმურაზ კუხიანიძის, ილია გაბლიანისა და ჯუმბერ მეძმარიაშვილის სახელობის მწვერვალები; დ. მეძმარიაშვილი (მარჯვნივ) და დ. დანგაძე ხდომის ხეობაში.

შ. მირიანაშვილისა და ა. ბურასაშვილის ფოტოები.

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### ახალი პრიზი

დიდი ფეხბურთის პრიზებს დაემატა ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის" მიერ დაწესებული ახალი ჯილდო უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. პრიზი გადაეცემა ყველაზე კორექტულ და დისციპლინირებულ გუნდს, რომლის მოთამაშეებიც სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებში (ძირითადი შემადგენლობანი) ყველაზე ნაკლებ საჯარიმო ქულას მიიღებენ (გაფრთხილება — 2 საჯარიმო ქულა, მინდვრიდან გაძევება — 5 ქულა).

პრიზი გარდამავალია. თუ ამ ჯილდოს ზედიზედ სამჯერ მოიპოვებს რომელიმე კოლექტივი, იგი მას სამუდამოდ დარჩება.

კორექტული თამაშისთვის II და III ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი ხარისხის საპატიო სიგელებს მიიღებენ.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● ასკ (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:1. მსაჯი გ. მღებრიშვილი (თბილისი).

სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ სამხრეთ ოსეთის საუკეთესო გუნდი რესპუბლიკური ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ჩასატარებლად თბილისში ჩამოვიდა... 10 მოთამაშის შემადგენლობით, რომელთაგან ერთი დისკვალიფიცირებული იყო და არ ჰქონდა მინდორზე გამოსვლის უფლება. ეს ფეხბურთელი მაინც ათამაშეს. თანაც, ცხინვალელებს არც მწვრთნელი ჰყავდათ, არც წარმომადგენელი. ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი დამოკიდებულებაა ცხინვალში ფეხბურთის მიმართ და ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ სპარტაკელები ბოლო ადგილზე არიან გათამაშების ცხრილში.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:6. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მეტალურგებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ. 2-2 ბურთი გაიტანეს გოგუაძემ და გაგუამ, 1 — ალადაშვილმა. სტუდენტთა მხრივ ბურთები გაიტანეს გიგოლაშვილმა და ციკოლიამ.

● „ივერია" (ხაშური) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „კახეთი" (თელავი) 1:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ამ საინტერესო მატჩში ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, რომელთაგან მხოლოდ ერთი გამოიყენეს: ეს მე-80 წუთზე შეძლო ცხაკაიელმა ლ. დარასელიამ.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „დინამო" (სოხუმი) 8:8. მსაჯი ა. რუსიეშვილი (ბათუმი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სულორი" (ვანი) 2:2. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

სტუმრებმა წარმატებით დაიწყეს თამაში და მე-5 წუთზე მეფარიძემ გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ გლინიანოვმა ჯერ გაქვითა გოლი, შემდეგ დააწინაურა „მეტალურგი", მაგრამ 74-ე წუთზე გეფერიძემ წონასწორობა აღადგინა.

გვერდითმ მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ვანელი მ. აბრამიძე.

● „მეშახტე" (ტყიბული) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

● „განთიადი" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:4. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

სტუდენტთა მხრივ ბურთები გაიტანეს სართანიამ, ძაგოევმა, ივანოვმა და გიგოლაშვილმა, ხოლო განთიადელთაგან — გუგუშვილმა და აზარაშვილმა.

● „კოლხეთი" (ხობი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:2. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

სტუმრებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ანგარიში დასაწყისშივე გახსნა ასპინძელმა ქავთარაძემ, შესვენების შემდეგ ჯოჯუამ საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ხობელებს მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან ბერიძის ზუსტი დარტყმის შემდეგ.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მინდვრიდან გაძევებულია ლოკომოტიველი ზ. ნემსაძე.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 8:8. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

რუსთაველები აგებდნენ მატჩს და მხოლოდ მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, სიმონიშვილმა გუნდი წაგებას გადაარჩინა.

### II ჯგუფი

I ზონა

„ცისკარი" (სიღნაღი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:3, „ცისკარი" (სიღნაღი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:3, „ალაზანი" (გურჯაანი) — „განთიადი" (კასპი) 2:3, „კოლმეურნე" (ბორჯომი) — „განახლება" (ადიგენი) 5:0. ბოლნისის „მადნეულს" გამარჯვება ჩაეთვალა ლაგოდეხის „ჰერეთთან", ხოლო ქარელის „ყანწვისს" — აჭყურის „სამცხესთან".

ამ ზონაში I ადგილი დაიკავა ყვარლის „დურუჯმა". გაისად იგი პირველ ჯგუფში ითამაშებს.

„ბახმარო" ([illegible]) — „[illegible]განტი" (ლაითური) 1:0, „[illegible]" (თერჯოლა) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 0:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 2:0, „მზიური" (გალი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:2. წალენჯიხის „სქურს" გამარჯვება ჩაეთვალა ლაითურის „გიგანტთან".

### ზონალური გათამაშება

„ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) — „მშენებელი" (ბათუმი) 2:1, „ავიატორი" (ქუთაისი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 6:2, „პოლიტექნიკოსი" (სავარეჯო) — „არაგვი" (მცხეთა) 1:1. აბმეტის „ქიმიკოსს" გამარჯვება ჩაეთვალა წალკის „თრიალეთთან".

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღარო". | 30 | 20 | 4 | 6 | 60—18 | 44 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 28 | 17 | 8 | 3 | 58—21 | 42 |
| ასკ (თბ.) | 33 | 16 | 9 | 8 | 65—41 | 41 |
| „დინამო" | 32 | 16 | 8 | 8 | 65—36 | 40 |
| „ეგრისი" | 32 | 16 | 7 | 9 | 52—33 | 39 |
| „სალხინო" | 31 | 13 | 12 | 6 | 46—28 | 38 |
| „ლოკომ". | 32 | 14 | 10 | 8 | 49—38 | 38 |
| ფიზკ. ინსტ. | 31 | 15 | 7 | 9 | 63—50 | 37 |
| „ამირანი" | 32 | 13 | 8 | 11 | 40—39 | 34 |
| „შუქურა" | 32 | 12 | 9 | 11 | 41—33 | 33 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 31 | 11 | 10 | 10 | 46—42 | 32 |
| „კახეთი" | 32 | 11 | 7 | 14 | 45—51 | 29 |
| „მეშახტე" | 32 | 11 | 7 | 14 | 42—57 | 29 |
| „ქართლი" | 30 | 11 | 6 | 13 | 53—55 | 28 |
| „კოლხეთი" | 32 | 8 | 10 | 14 | 38—49 | 26 |
| „ვარძია" | 32 | 10 | 4 | 18 | 32—51 | 24 |
| „განთიადი" | 32 | 7 | 9 | 16 | 39—58 | 23 |
| „ივერია" | 31 | 8 | 5 | 18 | 31—60 | 21 |
| „სულორი" | 32 | 6 | 7 | 19 | 33—87 | 19 |
| „სპარტაკი" | 33 | 4 | 5 | 24 | 33—84 | 13 |

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ". | 38 | 23 | 7 | 8 | 73—33 | 53 |
| ასკ | 37 | 20 | 9 | 8 | 57—33 | 49 |
| „დინამო" | 37 | 20 | 9 | 8 | 56—38 | 49 |
| „კრ. სოვ." | 37 | 20 | 8 | 9 | 63—38 | 48 |
| „ნეფთჩი" | 37 | 18 | 9 | 10 | 54—32 | 45 |
| „ტავრია" | 37 | 18 | 6 | 13 | 73—53 | 42 |
| „კუზბასი" | 36 | 19 | 4 | 13 | 47—46 | 42 |
| „შინიკი" | 38 | 11 | 14 | 13 | 50—53 | 36 |
| „ზვეზდა" | 37 | 13 | 10 | 14 | 52—57 | 36 |
| „ტორპედო" | 37 | 13 | 10 | 14 | 35—41 | 36 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 37 | 11 | 12 | 14 | 41—47 | 34 |
| „ურალმაში" | 37 | 13 | 8 | 16 | 36—47 | 34 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 37 | 9 | 15 | 13 | 37—39 | 33 |
| „პამირი" | 36 | 11 | 11 | 14 | 42—46 | 33 |
| „სპარტაკი" (ნალ.) | 37 | 10 | 13 | 14 | 35—45 | 33 |
| „ყუბანი" | 37 | 11 | 10 | 16 | 53—67 | 32 |
| „სპარტაკი" (ორჯ.) | 37 | 14 | 4 | 19 | 42—65 | 32 |
| „სტროიტ." | 37 | 10 | 11 | 16 | 41—52 | 31 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 37 | 8 | 9 | 20 | 30—49 | 25 |
| „ტექსტილ." | 37 | 5 | 7 | 25 | 33—69 | 17 |

### ფეხბურთის თასზე

დაიწყო შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება. ლანჩხუთის „გურიამ" თავის მინდორზე დიდი ანგარიშით დაამარცხა ფოთის „კოლხეთი" — 6:1.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა სამტრედიის „ლოკომოტივისა" და ზუგდიდის „დინამოს" შეხვედრა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა.

### რაიონებში სპორტსმენთა

◆ გეგეჭკორი

აქ გაიმართა რაიონის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების პირველობა ფრენბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ სალხინოს სკოლა-ინტერნატისა და საშუალო სკოლის მასწავლებელთა გუნდები. გაიმარჯვა სკოლა-ინტერნატის კოლექტივმა.

ს. კუხალაშვილი.

## მოძმე სომხეთის მზეზე



ველოსპორტის საკავშირო ფედერაციამ და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ საკავშირო თასების გათამაშება წლეულს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მიანდვეს. ამას წინათ თბილისში ტრეკის ოსტატებმა გაითამაშეს ჯილდოები, რამდენიმე ხნით ადრე კი სომხეთში იმავე რანგის ტურნირი გაიმართა, ოღონდ საგზატკეცილო რბოლებში. ორივე შეჯიბრება ჩატარდა საინტერესოდ, ახალგაზრდა სპორტსმენთა მზარდი ოსტატობის ნიშნით.

კრიტერიუმში, რომელიც საგზატკეცილო ველოსპორტის ერთ-ერთ ურთულეს სახეობად ითვლება, თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა ველოსიპედისტებმა — გალინაუსკასმა (რიგა), ავეტისიანმა (ერევანი) და ისაევმა (მინსკი). ახალგაზრდებმა გაბედულად, ენერგიულად ჩაატარეს მთელი რბოლა და საპრიზო ადგილებიც ერთმანეთში გაინაწილეს.

სურათზე (მარცხნიდან): ავეტისიანი, გალინაუსკასი და ისაევი რბოლის შემდეგ.

გ. ბალდასარიანისა და რ. აკოფიანის ფოტო. (საქდესი).

## ფოტოეტიუდი



ვის ვის და ლენინგრადელ ვ. ოსოკინს თბილისის ახალ ველოტრეკზე აშკარად წყალობს ბედი. რამდენიმე დღის წინათ მან სსრ კავშირის თასი მოიგო გიტში 1000 მეტრზე, მერე ვერცხლის მედალი მიიღო საკავშირო ჩემპიონატში და ბოლოს საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა 5 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში — 6.11,87.

თვით სპორტსმენი თავის წარმატებებს ველოტრეკის მაღალი ხარისხით ხსნის. „არსად, არასდროს არა ვარ გამარჯვებაში ისე დარწმუნებული, როგორც თბილისში. ტრეკი თითქოს ხელს გიწყობს რბოლის დროს, გეხმარება, გამხნევებს... ასეთ ხაფარზე წაგებაც კი სასიამოვნოა", — ხუმრობს ოსოკინი და სიამოვნებით იღებს გულშემატკივრების მილოცვებს.

შ. ალავიძე.

* * *

სურათზე: ვ. ოსოკინი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## წინასწარ ცნობილი ჩემპიონები

აფხაზეთის დედაქალაქში ბადმინტონისტთა რესპუბლიკური შეჯიბრებების გამართვა ტრადიციად იქცა. ეს ტრადიცია, რომელსაც სოხუმელთა კარგი მასპინძლობაც განაპირობებს, არც წლეულს დარღვეულა.

ახლახან დამთავრებულ საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაში 6 გუნდი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ამ გუნდებიდან სამი თბილისისა იყო და ისინიც ძირითადად დაკომპლექტებული გახლდათ „ბურევესტნიკის" სპორტსმენებით (ნაწილს კი 26 კომისრის სახელობის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები შეადგენდნენ). მათს გარდა სარბიელზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარისა და რუსთავის ბადმინტონისტები. ეს არის და ეს. ბადმინტონს მეტნაკლებად მხოლოდ ამ კოლექტივებსა და რაიონებში ექცევა ყურადღება.

წინა წლებში ბადმინტონისტთა შეჯიბრებებში ქუთაისელი, ჭიათურელი, გორელი და გარდაბნელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. შემდეგ ეს გუნდები ალარავის უნახავს სარბიელზე, ან საიდან ნახავდნენ, როცა მათთან სპორტული ჯგუფები არ არსებობს. ეს არის მიზეზი, რომ შეჯიბრება არავითარ ინტერესს არ იწვევს, რადგან ყოველთვის შეიძლება წინასწარ დაასახელოთ ჩემპიონები. ამ შეჯიბრებაშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა და ვაჟთა ტურნირებში ჩემპიონობა თბილისელებმა ი. კონდრატიევამ და ალ. დავიდოვმა მოიპოვეს. ეს უკვე მერამდენედ!

რაც შეეხება გუნდურ ასპარეზობას, აქაც იოლად გაიმარჯვა თბილისის პირველმა ნაკრებმა. თბილისელებმა დაიკავეს ყველა საპრიზო ადგილი ქალთა ერთეულების, ვაჟთა წყვილებისა და შერეული წყვილების შეჯიბრებებშიც.

გუნდურ პირველობაში II ადგილზე გავიდნენ აჭარის წარმომადგენლები, ხოლო III — მასპინძლები.

გაგაცნობთ პრიზიორებს. ქალთა ერთეულები. კონდრატიევა, თ. ბალიაშვილი, რ. ოკინაშვილი; ვაჟთა ერთეულები. ალ. დავიდოვი, ან. დავიდოვი, მ. ნერსესიანი (აფხაზეთი); ქალთა წყვილები. კონდრატიევა — ოკინაშვილი, ბალაშვილი — მამინაშვილი (აჭარა), ლ. ტეტენოვა — ე. ბიბურთიანი (აჭარა); ვაჟთა წყვილები. ძმები დავიდოვები, ვ. ლიბახი — გ. ლარიბოვი, თ. სუხიშვილი — მ. დანილოვი; შერეული წყვილები. კონდრატიევა — ალ. დავიდოვი, ოკინაშვილი — ან. დავიდოვი, ბალაშვილი — ლარიბოვი.

გ. ამირხანოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).
სოხუმი.

## 1 ნოემბერს თბილისში,

ჭადრაკის სასახლეში, სტარტს აიღებს საერთაშორისო შაშში მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირი. ეს შეჯიბრება დაასახელებს მსოფლიო ჩემპიონ ტ. სიიბრანდსის (ჰოლანდია) მეტოქეს, რომელიც გაისად იბრძოლებს ამ ტიტულისთვის.

თბილისში სათამაშოდ ჩამოვლენ სსრ კავშირის, ჰოლანდიის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, სენეგალის, სურინამის, კანადის, რუმინეთის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და შრი ლანკას ჩემპიონები. პერსონალურად მიწვეული არიან პრეტენდენტთა წინა ტურნირის პირველი პრიზიორი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ი. კუპერმანი (კიევი) და მსოფლიო პირველობაზე შარშანდელი მატჩის მონაწილე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ა. ანდრეიკო (რიგა).

უცხოელი მოშაშეებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საერთაშორისო დიდოსტატების, 1972 წლის ოლიმპიური ტურნირის მეორე პრიზიორის, ჰოლანდიელი ხ. ვირსმას და სენეგალელი ბაბა სის მონაწილეობა.

შეჯიბრების მონაწილენი ხუთ დღეს რომ ითამაშებენ, მეექვსე დღეს დაისვენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკდესი მოგვითხრობს

# ფართოვდება სპორტული ბაზების ქსელი

### ახალი ტრასის ძველი მისამართი

ლიტვაში საავტომობილო და მოტორბოლის ოსტატთა რესპუბლიკურ ჩემპიონატს დაუკავშირეს კაუნასის მახლობლად, კურორტ კაჩერგინში მდებარე ნემანის ხუთკილომეტრიანი ტრასის გახსნა. სპორტსმენები წინათაც იყენებდნენ ამ ტრასას, მაგრამ ძველი წრის ნაწილი გადატვირთულ ავტომაგისტრალზე გადიოდა და ეს ხელს უშლიდა დიდი შეჯიბრებების ჩატარებას. ახლა ტრასა მთლიანად რეკონსტრუირებულია. იგი გაფართოვდა და გზატკეცილს გამოეყო. ტრასაზე მოაწყეს ვირაჟები, განსაკუთრებით სახიფათო ადგილებში კი ზღუდეებიც გააკეთეს.

შემდეგისთვის ნემანის წრის გვერდით განზრახულია აიგოს ავტო-მოტოკლუბის პავილიონები, გარაჟები და მაყურებელთა ტრიბუნები.

პირველი საკავშირო ასპარეზობა აქ 1975 წელს ჩატარდება.

ს. ვაინტრაუბასი.

კაუნასი.

### სპორტსმენთა ახალსახლობა

ქუსტანაიში გაჩნდა ახალი სპორტული მისამართი — „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსი. მინისა და ბეტონისგან ნაგებ შენობაში მოთავსდა საცურაო აუზი, ტანვარჯიშული და სპორტული დარბაზები. მოცურავეთა გარდა, აქ ივარჯიშებენ ფრენბურთელები, კალათბურთელები, მოჭიდავეები, მოკრივეები და სხვ.

სულ 15 სპორტული სექცია იმუშავებს.

ქუსტანაი.

### დახურული ცისფერი ბილიკები

კირიშის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს დახურული საცურაო აუზი, რომელიც პირველია ლენინგრადის ოლქში. „წყლის სტადიონს“ აქვს ექვსი 25-მეტრიანი ბილიკი, 3- და 1-მეტრიანი ტრამპლინები. ამ აუზის გახსნით დამთავრდა სპორტული კომპლექსის „ნეფტიანიკის“ მშენებლობის მეორე ეტაპი.

აუზის მწყობრში ჩადგომის შემდეგ უკვე 600 მოსწავლე ჩაეწერა ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში, ხოლო ბავშვთა და მოზარდთა ადგილობრივ სპორტულ სკოლაში წყალბურთის განყოფილება გაიხსნა.

ახლა განზრახულია სტადიონის, ჩოგბურთის კორტებისა და რუსული რიკაობის მოედნის მოწყობა.

ს. გავრიკოვი.

ლენინგრადის ოლქი.

# გამარჯვება ნოკაუტით

ქინშასა, 30 ოქტომბერი. (საკდესი). სახელგანთქმულმა ზანგმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოართვეს პროფესიონალთა შორის აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონის წოდება იმის გამო, რომ სპორტსმენმა უარი თქვა ვიეტნამში სამხედრო სამსახურზე, ჯორჯ ფორმენთან ბრძოლაში დაიბრუნა ჩემპიონის წოდება.

ბრძოლა ჩატარდა ღამით კინშასის სტადიონზე, პროჟექტორებითა და ბადრი მთვარით განათებულ სარბიელზე, 70 ათასი მაყურებლის თვალწინ.

მუჰამედ ალიმ ბრწყინვალე ტექნიკა და ტაქტიკა დაუპირისპირა ფორმენის მძიმე დარტყმებს, რომლებიც მიზანს ვერ აღწევდა. მეშვიდე რაუნდში ფორმენი ნოკდაუნში ჩავარდა, მერვე რაუნდის მე-3 წუთზე კი, ნიკაპში მარჯვნიდან ალის ძლიერი დარტყმის შემდეგ იგი ფეხზე ველარ წამოდგა. ეს იყო პირველი დამარცხება ფორმენისა, რომელმაც მოიგო წინა ორმოცივე შეხვედრა, ხოლო მათი უმეტესობა — ნოკაუტით შეხვედრათა დასაწყისში. მუჰამედ ალის 14 წლის მანძილზე ჩატარებული 47 ბრძოლიდან მოგებული აქვს 45.



ს უ რ ა თ ზ ე: მ. ალი.

## ზაქარია შერაზადიშვილი — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის თეორიის და ისტორიისა და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის სექტორის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, მწერალმა ზაქარია ვასილის ძე შერაზადიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1801-1917 წწ.“).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ზ. შერაზადიშვილისთვის პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.



მოსკოვი. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა 32 ქულა დააგროვა და შეჯიბრების დამთავრებამდე 8 ტურით ადრე დაიმსახურა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

ს უ რ ა თ ზ ე: უნივერსიტეტის გუნდი.

ვ. უნ და-სინის ფოტო. (საკდესი).

# ათასობით კილომეტრი ავტომანქანებით

ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ავტომოტოტურიზმის სექცია, რომელიც ათობით ავტომოყვარულს აერთიანებს. სექციამ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით ბოლო წლებში რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩაატარა: მოაწყვეს ლაშქრობა საქართველოს ირგვლივ, შარშანწინ საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე 12 ათასი კილომეტრი გაიარეს, შემდეგ კი სტალინგრადის გმირული ბრძოლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ლაშქრობის მონაწილეებმა 5000 კილომეტრი დაფარეს.

მეცნიერებათა აკადემიის ავტოტურისტებმა შარშან საბჭოთა ქვეყნის დასავლეთის რაიონებში 8900 კილომეტრი გაიარეს.

სექცია განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს წლეულს. გმირი ქალაქების ქერჩის, სევასტოპოლის, ნოვოროსიისკის გათავისუფლების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ლაშქრობის მონაწილეებმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს და შინ მდიდარი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდნენ. მოეწყო, აგრეთვე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი ავტოტურისტული ლაშქრობა შუა აზიის რესპუბლიკებში, ამას წინათ კი დამთავრდა კავკასიის დაცვის გმირებისადმი მიძღვნილი ლაშქრობა კავკასიის გარშემო.

მაგრამ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ავტო-მოტოტურიზმის სექციების საქმიანობა ამით როდი ამოიწურება. განზრახული აქვთ ოქტომბრის რევოლუციის 57-ე წლისთავს მიუძღვნან აკადემიის დაწესებულებათა პირველი ღია პირად-გუნდური შეჯიბრება ავტო-მოტოტურისტულ მრავალჭიდში, რომელიც 3 ნოემბერს დილის 9 საათიდან გაიმართება თბილისის ზღვის მისადგომებთან.

ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტოტურიზმის რესპუბლიკურმა სექციამ, თბილისის ტურიზმის საქალაქო კლუბმა, თბილისის ავტოინსპექციამ, რომლებიც საერთო ძალით იბრძოლებენ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

შეჯიბრებაში გამოვლენ როგორც ავტო, ისე მოტოტურისტები. გუნდურ ასპარეზობაში 18 კოლექტივი ჩაებმება, პირად ტურნირში მონაწილეობა კი ყველა მოყვარულს შეუძლია. პროგრამა არც ისე რთულია: სლალომი (5 წინაღობით), აჩქარება-დამუხრუჭება, მანქანის მარჯვენა ბორბლით 10 სმ სიგანის ფიცარზე 10 მეტრის გავლა და სხვ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პროფკავშირის კომიტეტი გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს.

ც. ძიმისტარიშვილი.

# „არსენალმა“ იყიდა — პირველი ოფიციალური...

როგორც ცნობილია, გუშინ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი. სსრ კავშირის ფეხბურთელები დუბლინში ეთამაშნენ ირლანდიის ნაკრებს. ამ გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე — მცველი ტერი მანჩინი, რომელიც „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ თამაშობდა, ამ რამდენიმე დღის წინათ იყიდა ლონდონის ცნობილმა კლუბმა „არსენალმა“, რომელიც ახლა დიდ-გასაჭირშია — ბოლო ადგილზეა ეროვნული ჩემპიონატის ცხრილში.

„არსენალს“ ეს მოთამაშე 20000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო დიდი ინტერესით ელოდა ინგლისის ნაკრების მატჩს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან. ეს ინტერესი გასაგებია: ნისლიანი ალბიონის ფეხბურთელთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში და ეს მატჩი მისი ხელმძღვანელობით გუნდის პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო. დონ რივიმ შემადგენლობაში 6 ახალი მოთამაშე შეიყვანა.

აი, ეს შემადგენლობაც: კლემენსი („ლივერპული“), შილტონი („ლეისტერ სიტი“), მეიდლი („ლიდს იუნაიტედი“), ნიში („დერბი ქაუნთი“), ჰიუზი („ლივერპული“), ლინდსეი („ლივერპული“), უოთსონი („სანდერლენდი“), ბეტი („იფსვიჩ თაუნი“), ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი“), მედრენი („მიდლსბრო“), ტოდი („დერბი ქაუნთი“), ბელი („მანჩესტერ სიტი“), ჯ. ფრენსისი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), კერი („შეფილდ იუნაიტედი“), ბრუკინგი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), უელერი („ლეისტერ სიტი“), ჰადსონი („სტოკ სიტი“), ტ. ფრენსისი („ბირმინგემ სიტი“), კლარკი („ლიდს იუნაიტედი“), უორთინგტონი („ლეისტერ სიტი“), თომასი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), ჩენონი („საუთჰემპტონი“), კიგანი („ლივერპული“).

(საკ. ინფ.).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### დიდის პირობები

გამოჩენილმა სპეციალისტმა დიდიმ, რომელიც ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, სპორტის ეროვნულ კონფედერაციას გააცნო თავისი პირობები: მასთან კონტრაქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს 1978 წლის ბოლომდე (მსოფლიოს შემდგომი ჩემპიონატის დამთავრებამდე), მასთან ერთად ნაკრებთან უნდა იმუშაონ მწვრთნელებმა კუტინიომ და შიროლმა.

### ანტისადოპინგო კონტროლი

არგენტინის ჩემპიონატში ძალიან გახშირდა ფეხბურთელთა მიერ დოპინგის მიღების შემთხვევები, რამაც კლუბებს შორის დამოკიდებულების მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა დააწესოს ანტისადოპინგო კონტროლი და მკაცრად დასაჯოს დამნაშავენი.

# პირველი ეტაპი გაველილია

27 ოქტომბერს ამერსფორტის (ჰოლანდია), ბლეკპულის (ინგლისი), ვიურცბურგისა (გფრ) და სტოკჰოლმის (შვეცია) აუზებში დამთავრდა წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის XII გათამაშების პირველი ეტაპი. ამ შეჯიბრებებმა გამოავლინა 8 საუკეთესო გუნდი, რომლებიც ნახევარფინალებში განაგრძობენ ბრძოლას. ეს ნახევარფინალური ეტაპები ნოემბერში მოეწყობა ამერსფორტსა და ბუდაპეშტში. წილისყრით, ჰოლანდიის ქალაქში იასპარეზებენ ბუქარესტის „დინამო“, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, ჰოლანდიის „დენ რობენი“ და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეს „რუდა გვეზდა“, ხოლო უნგრეთის დედაქალაქში — გფრ-ის „ვიურცბურგი“, ბუდაპეშტის ოშც, ბელგრადის „პარტიზანი“ და გენუის „პრო რეკო“.

სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა ასეთი შედეგებით დაამთავრა პირველი ეტაპი: სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) 10:5, „ბარსელონა“ (ესპანეთი) 6:2, „ვიურცბურგი“ 5:6, პირეოსის „ეთნიკოსი“ (საბერძნეთი) 7:2.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი ბოლო წლებში პირველად დამარცხდა უცხოეთის კოლექტივთან. „ვიურცბურგთან“ მატჩში მან თავიდანვე ჩააბარა ინიციატივა მეტოქეს და თუმცა შემდგომში ორჯერ გაათანაბრა ანგარიში (3:3, 5:5), წაგებას ვერ გადაურჩა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ შესანიშნავმა კოლექტივმა, რომელმაც წლეულს ზედიზედ მესამედ მოიხვეჭა სსრ კავშირში უძლიერესი გუნდის სახელი, შარშან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის XI გათამაშებაში გაიმარჯვა.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 ნოემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტული აფიშა

წყალბურთი. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დახურული საცურაო აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). 31 ოქტომბერი-3 ნოემბერი. საქართველოს თასი. დასაწყისი 19 ს. 30 წთ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.